პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 253 (528)3

1974 წ. 22 დეკემბერი, კვირა.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## მორიგი ტირაჟი

მოსკოვი, 20 დეკემბერი. დღეს აქ გაიმართა „სპორტლოტოს“ და „სპორტლოტო-2“-ის მორიგი, 35-ე ტირაჟი.

აი, იღბლიანი ნომრები და სპორტის სახეობები:

**„სპორტლოტო“** — 4 (მთამსვლელობა), 6 (კალათბურთი), 28 (მაგიდის ჩოგბურთი), 42 (ძალოსნობა), 46 (ჰოკეი), 49 (შაში).

**„სპორტლოტო-2“** — 2 (საავტომობილო სპორტი), 4 (მთამსვლელობა), 30 (აფროსნობა), 33 (რეგბი), 36 (სლალომი), 38 (მშვილდოსნობა).

## გაგულაშვილი ამარცხებს სიდიაკს

„ლელოს“ წინა ნომერში უკვე ვიუწყებოდით სსრ კავშირის თასზე გამართულ მოფარიკავეთა საკავშირო შეჯიბრებაში ვ. სიდიაკის, ვ. კროვოპუსკოვისა და ა. გაგულაშვილის წარმატების თაობაზე. მკითხველებისთვის ინტერესმოკლებული არ იქნება იმის გაგება, თუ როგორ წარიმართა ფინალური ბრძოლები საპატიო ჯილდოს მოხვეჭისთვის. გათამაშების საწყის ეტაპზე ახალგაზრდობამ სასტიკი ბრძოლა გაუმართა სახელმოხვეჭილ მოფარიკავეებს და ფინალისკენ მიმავალი გზა გადაუღობა სპორტის ამ სახეობის ისეთ ცნობილ ოსტატებს, როგორებიც არიან სსრ კავშირის წლევანდელი ჩემპიონი ვ. ნაზლიმოვი, ვ. ბაჟენოვი და ა. ილიუკი. ფინალურ ექვსეულში 8 ახალგაზრდა სპორტსმენი გავიდა. ესენი იყვნენ საქართველოს წარმომადგენლები ა. გაგულაშვილი, ა. კიკნაძე და ოდესელი ი. კაროლიცკი. მათ გარდა შეჯიბრების გადამწყვეტ ფაზაში ბრძოლის უფლება მოიპოვეს ვ. სიდიაკმა, ე ვინოკუროვმა და მოსკოველმა ვ. კროვოპუსკოვმა.

სიდიაკმა ადვილად მოიგო პირველი — ორი ორთაბრძოლა (ვინოკუროვთან და კროვოპუსკოვთან) და გაგულაშვილის პირისპირ დადგა საბრძოლველად. ქართველი მოფარიკავე როდი შედრკა ტიტულოვანი მეტოქის წინაშე, პირიქით, ბრძოლა დიდი შემართებით დაიწყო და ჩხვლეტა ჩხვლეტაზე მიაყენა ოლიმპიურ ჩემპიონს. ანგარიში გახდა 4:1 გაგულაშვილის სასარგებლოდ. სიდიაკი ბევრს ეცადა მდგომარეობა გამოესწორებინა, მაგრამ ამაოდ და დამარცხებულმა დატოვა საფარიკაო ბილიკი — 8:5. ეს სიდიაკის ერთადერთი მარცხი იყო ამ ტურნირში. გაიმარჯვა ა. კიკნაძემაც, რომელმაც სძლია კროვოპუსკოვს. მართალია, გაგულაშვილმა ამ დღეს ორი ბრძოლა წააგო, მაგრამ კროვოპუსკოვთან ერთად 8-8 გამარჯვება ჰქონდა. მეორე ადგილის ბედი გადაწყვიტა ჩხვლეტათა უკეთესმა სხვაობამ, სადაც უპირატესობა მოსკოველის მხარეზე იყო. მეოთხე ადგილი დაიკავა ა. კიკნაძემ, მეხუთე — ი. კაროლიცკიმ, მეექვსე — ე. ვინოკუროვმა.

## თბილისელ ჟურნალისტთა ფორუმი

პრესის მუშაკთა უმნიშვნელოვანეს ამოცანებზე, ახალ მოთხოვნათა დონეზე მუშაობის გარდაქმნის გზებსა და მეთოდებზე იყო სჯა-ბაასი საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის მეოთხე კონფერენციაზე, რომელიც 20 დეკემბერს გაიმართა საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის კლუბში.

კონფერენციამ მოისმინა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო ორგანიზაციის ბიუროს თავმჯდომარის, გაზეთ „თბილისის“ რედაქტორის ნ. ჯაშის მოხსენება. სარევიზიო კომისიის მოხსენებით გამოვიდა ამ კომისიის წევრი, გაზეთ „ავიატორ გრუზიის“ რედაქტორი ე. ჩიჯავაძე.

კამათში მონაწილეობა მიიღეს გაზეთ „ზარია ვოსტოკას“ პასუხისმგებელი მდივნის მოადგილემ **ა. ხოსროშვილმა**, გაზეთ „კომუნისტის“ განყოფილების გამგემ **ე. ჯაფარიძემ**, საქინფორმის მთავარმა რედაქტორმა **გ. ქანიშვილმა**, პროფესორმა **ი. ნატროშვილმა**, გაზეთ „ვეჩერნი ტბილისის“ განყოფილების გამგემ **ს. გველესიანმა**, გაზეთ „თბილისის“ განყოფილების გამგემ **დ. მელუხამ**, მრავალტირაჟიანი გაზეთის „ჩვენი საყვარის“ რედაქტორმა **ი. ბოლქვაძემ** და სხვებმა.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, გაზეთ „კომუნისტის“ რედაქტორი **დ. მჭედლიშვილი**.

კონფერენციამ საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო განყოფილების ბიუროს მუშაობა დამაკმაყოფილებლად ცნო და მიიღო შესაბამისი რეზოლუცია, აირჩია საქართველოს ჟურნალისტთა კავშირის თბილისის საქალაქო განყოფილების გამგეობისა და სარევიზიო კომისიის ახალი შემადგენლობა. თბილისის ჟურნალისტთა განყოფილების ბიუროს თავმჯდომარედ არჩეულია **ნ. ჯაში**, სარევიზიო კომისიის თავმჯდომარედ — **გ. ბოჯგუა**.

## კვლავ მოროზოვა — გულაგონგი

**სიდნეი, 20 დეკემბერი.** აქ მიმდინარე ახალი სამხრეთ უელსის შტატის ჩოგბურთელთა ღია ჩემპიონატის ნახევარფინალში ქალთა ერთეულებს შორის ერთმანეთს შეხვდებიან ძველი მეტოქეები, მოსკოველი ო. მოროზოვა და ავსტრალიელი ი. გულაგონგი. მეოთხედფინალში მოროზოვამ სძლია მასპინძელს, ჰ. გურლეის — 7:5, 3:6, 6:4. გულაგონგის მეტოქე იყო თავისივე თანამემამულე ქ. ჰერისი. გაიმარჯვა გულაგონგმა — 6:3, 6:0. მეოთხედფინალში ითამაშებს თბილისელი ა. მეტრეველი. მისი მეტოქე იქნება ავსტრალიელი დ. კროლი.

ამ ტურნირის შემდეგ ჩოგბურთელები იასპარეზებენ ავსტრალიის ღია ჩემპიონატში, რომელიც მელბურნში გაიმართება.

## ლიდერთა შეხვედრა

სსრ კავშირის 42-ე საჭადრაკო ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის ტურნირი, რომელიც ლენინგრადში მიმდინარეობს, ისე აეწყო, რომ ფინიშზე, XIV ტურში ერთმანეთს შეხვდნენ ლიდერები დიდოსტატი მ. ტალი (რიგა) და ახალგაზრდა ოსტატი ა. ბელიავსკი (ლვოვი). პარტიამ მძაფრ ბრძოლაში განვლო და ბელიავსკის გამარჯვებით დამთავრდა.

14 ტურის შემდეგ ა. ბელიავსკის 9 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს, მ. ტალს — 9 ქულა (მას კუპრეიჩიკი დანებდა XIII ტურიდან გადადებულ პარტიაში).

სხვა შეხვედრებში რ. ვაგანიანმა (ერევანი) მოუგო ო. რომანიშინს (ლვოვი), გ. სავონმა (ხარკოვი) — მ. ტაიმანოვს (ლენინგრადი), ლ. ალბურტმა (ოდესა) — ე. ვასიუკოვს (მოსკოვი). ყაიმით დამთავრდა პარტიები გ. კუზმინი (ვოროშილოვგრადი) — ვ. ცეშკოვსკი (ომსკი) და მ. დვორეცკი (მოსკოვი) — ლ. პოლუგაევსკი (მოსკოვის ოლქი). ორი შეხვედრა გადაიდო.

22 დეკემბერს შეჯიბრების დასკვნითი XV ტური გაიმართება. ბელიავსკი შეხვდება ი. ბალაშოვს (მოსკოვი), ტალი — ალბურტს.

### საჩუქარი ნორჩ მოჭადრაკეებს

ამას წინათ ზესტაფონის ცენტრში ნორჩ მოჭადრაკეებს სამეცადინოდ 2 ოთახი გადაეცათ. კლუბი ინვენტარითაა აღჭურვილი, არის საჭადრაკო ლიტერატურაც.

საჭიროა ნორჩ მოჭადრაკეთა ეს ბაზა მაქსიმალურად იქნას გამოყენებული რაიონში ჭადრაკის პროპაგანდისთვის. მას რაიონის ხელმძღვანელობის დახმარება კვლავ დასჭირდება.

ა. განუგრავა,
(ჩვენი კორ.).

## ვაჟთა ესტაფეტამ გადაწყვიტა

ბაკურიანში დამთავრდა სათხილამურო სპორტში სეზონის გახსნისადმი მიძღვნილი შეჯიბრება გაზეთ „მოლოდიოჟ გრუზიის“ პრიზზე. ასპარეზობაში სპორტსაზოგადოებების გუნდები მონაწილეობდნენ.

ამ ტურნირს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა პროფკავშირული ნებაყოფლობითი სპორტსაზოგადოებების კოლექტივებისთვის, რომლებიც საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის IV სპარტაკიადისთვის ემზადებიან. მათ გადამწყვეტ სტარტებამდე სამიოდე კვირა აშორებთ და ახლა გაზეთის პრიზისთვის ბრძოლაში ძალების შემოწმება არავის აწყენდა.

გუნდური პირველობისთვის დავაში თავიდანვე „კოლმეურნისა“ და „სპარტაკის“ მოთხილამურეები დაწინაურდნენ. ყოველი სახეობის შემდეგ წინ ხან ერთი ნაკრები გადიოდა, ხან — მეორე. მესამე დღეს კი, როცა ქალების ესტაფეტა დამთავრდა, მეტოქეებს თანაბარი ქულები დაუგროვდათ. ახლა მთავარი პრიზის ბედი ბოლო სახეობას — ვაჟების ესტაფეტას უნდა გადაეწყვიტა.

ვაჟთა შორის ესტაფეტა „ბურევესტნიკმა“ მოიგო. „სპარტაკის“ მოთხილამურეები II ადგილზე გავიდნენ და საერთო გამარჯვებაც დაისაკუთრეს. საერთო ჩათვლაში II ადგილზეა „კოლმეურნე“, III — „ბურევესტნიკი“.

რაც შეეხება პირად პირველობას, მეორე დღეს ვაჟები 15 კილომეტრზე დარბოდნენ, ქალები — ამ დისტანციის ნახევარზე.

ქალთა შორის ნ. ბალაშვილს („კოლმეურნე“) ბადალი ისევ არ ჰყავდა — 31.43. მეორე ადგილი ერგო პერსპექტიულ ბოგდანოვკელ გოგონას, 14 წლის ნ. ვასილენკოვას („სპარტაკი“) — 36.22, რომელმაც უფრო გამოცდილ თანაგუნდელს ლ. მაკიევას 2 წუთზე მეტი მოუგო.

ვაჟთა შეჯიბრებაში გამარჯვებისთვის დაძაბული ბრძოლა გააჩაღეს წინდღით რბოლაში უძლიერესმა ლ. სოღოიანმა და ა. მოროზოვმა (ორივე — „ბურევესტნიკი“). პირველობის ბედი იმ ოთხმა წამმა გადაწყვიტა, რომლითაც სოღოიანმა მეტოქეს ფინიშთან მიასწრო — 52.59. მესამე ადგილიც სტუდენტთა გუნდის წევრს ა. კალმიკოვს ერგო — 55.33.

„მფრინავი მოთხილამურეები“ ამჯერად 90-მეტრიან ტრამპლინზე ხტომაში ცდიდნენ ძალას. სსრ კავშირის ხალხთა ზამთრის III სპარტაკიადის ჩემპიონს მ. გავას ტოლი არც აქ ჰყავდა. მართალია, მისი პირველი შედეგები ბრწყინვალე არ იყო (80 და 83 მეტრზე გადახტა), მაგრამ სპეციალისტთა საერთო აღიარებით „მოლოდიოჟ გრუზიის“ სპეციალური პრიზი „ოსტატობისა და გამარჯვების ნებისყოფისთვის“ გავას გადაეცა.

ქალების ესტაფეტაში ორი ეტაპის შემდეგ „სპარტაკის“ ნაკრები „კოლმეურნის“ გუნდს ორ წუთზე მეტს უგებდა. ნ. ბალაშვილმა თავის ეტაპზე მეტოქეს აჯობა, მაგრამ საბოლოოდ ამ დისტანციაზე გამარჯვება მაინც სპარტაკელებს დარჩათ.

მოთხილამურეთა პირველმა სტარტებმა დაგვანახვა, რომ საქართველოს პროფკავშირთა ზამთრის IV სპარტაკიადაში საერთო ჩათვლაში, რომლის პროგრამა უფრო ვრცელია, გამარჯვების მთავარი პრეტენდენტები, სწორედ „სპარტაკის“, „კოლმეურნისა“ და „ბურევესტნიკის“ სპორტული დელეგაციის წევრები იქნებიან, თუმცა გამორიცხული არაა, რომ რომელიმე სახეობა სხვა საზოგადოების წარმომადგენლებმაც მოიგონ. სპარტაკიადა კი, როგორც ცნობილია, სტარტს 13 იანვარს აიღებს, მანამდე ბაკურიანში სპორტსაზოგადოებების რესპუბლიკური და ცენტრალური საბჭოები თავიანთ ზამთრის სპარტაკიადებს გამართავენ.

ო. ივდოშვილი.
(ჩვენი სპეც. კორ.).

ბაკურიანი.

• • •



**ს უ რ ა თ ზ ე:** ა. მოროზოვი 15 კილომეტრზე რბოლის დროს.

მ. ზაქარეიშვილის ფოტო.
(ჩვენი სპეც. კორ.).

## შესანიშნავი, რომანტიული...

გაზეთ „ვეჩერნაია ოდესას“ რედაქციის მიერ გამოცხადებულმა საერთაშორისო კონკურსმა საჭადრაკო კომპოზიციაში უდიდესი ინტერესი გამოიწვია. ქიური იტყობინება, რომ მან მიიღო 500 ამოცანა და ეტიუდი სსრ კავშირიდან, საბერძნეთიდან, ჩეხოსლოვაკიიდან, გდრ-დან, პოლონეთიდან, იუგოსლავიიდან, ესპანეთიდან, ალჟირიდან, რუმინეთიდან, ფინეთიდან, ინგლისიდან, ავსტრიიდან, ბულგარეთიდან, გფრ-დან, ინდოეთიდან და უნგრეთიდან.

ამას წინათ შეჯამდა კონკურსის შედეგები. გაზეთმა თავის ფურცლებზე დაიწყო გამარჯვებული ნაწარმოებების გამოქვეყნება.

ეტიუდების კონკურსში სამ პრიზს 39 ნაწარმოები ეცილებოდა ერთმანეთს. კონკურსის მსაჯმა, ცნობილმა ეტიუდისტმა, ოსტატმა ა. კაკოვინმა I პრიზი მიანიჭა ცნობილი ქართველი ეტიუდისტების დ. გურგენიძისა და ვ. კალანდაძის ერთობლივ ნამუშევარს.

აი, ეს ეტიუდიც:

**დ. გურგენიძე,**
**ვ. კალანდაძე**



თეთრები იგებენ

ეტიუდში მოგების ხორცშესხმულმა იდეამ დიდად მოხიბლა მსაჯი, რომელმაც ნამუშევარი შეაფასა როგორც „ქართველი ავტორების შესანიშნავი რომანტიული ნაწარმოები“.

ეტიუდი ასე იხსნება: 1. ლa8 ეa1 (შავების მიზანია თავიდან მოიცილონ საკუთარი ეტლები პატის მისაღწევად, თეთრები მზად არიან მოიგონ ეტლები, ოღონდ ამისთვის ხელსაყრელ მომენტს ჰქმნიან) 2. ლb8 ეb1 3. ლc8 ეc1 4. ლd8 ეd1 5. მd2 ე:d2 6. ლc8 ეc2 7. ლb8 ეb2 8. ლa8 ეa2 9. ლ:a2 ე:f3 (ახლა ეს „ცოფიანი“ ეტლი საშიში აღარ არის) 10. ლf7 და თეთრები იგებენ h პაიკის წინსვლით.

ამ ბოლო დროს დ. გურგენიძე და ვ. კალანდაძე დიდი წარმატებებით მონაწილეობენ ეტიუდისტთა საკავშირო და საერთაშორისო კონკურსებში. ორივენი საჭადრაკო კომპოზიციაში სსრ კავშირის ჩემპიონატის მონაწილენი არიან.

ნიჭიერი შემოქმედნი პრაქტიკულ თამაშშიც ოსტატდებიან, რაც, ცხადია, ხელს შეუწყობს მათს შემოქმედებითს წინსვლას. ამას წინათ ვ. კალანდაძემ ოსტატობის კანდიდატის ნორმატივი შეასრულა. დ. გურგენიძე კი ოსტატობის კანდიდატი შარშან გახდა. ახლა ქართველ ეტიუდისტთა შორის მხოლოდ მათ აქვთ მაღალი სპორტული თანრიგი პრაქტიკულ თამაშში. ვ. კალანდაძე მუშაობს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოთვლით ცენტრში, დ. გურგენიძე საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტია.

ვულოცავთ მათ ახალ შემოქმედებითს წარმატებას.

II პრიზი მიენიჭა სვერდლოვსკელ ბ. ოლიმპიევს, III — კრასნოდარელ ოსტატ ვ. დოლგოვს. საპატიო და საქები შეფასებები მიეკუთვნათ ცნობილ ეტიუდისტებს, საერთაშორისო ოსტატებს ი. ფრიტზს (ჩეხოსლოვაკია), რ. რიხტერს (გდრ), ე. პოღოსიანცს (მოსკოვი), ოსტატებს ალ. კუზნეცოვს (მოსკოვი), ა. იაროსლავცევს (კურსკი) და სხვ.

თ. გიორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ფუჭი დაპირება და მოტყუებული სპორტსმენები

ძვირფასო რედაქცია! რუსთავის მოჭიდავეები და მწვრთნელები ღრმა გულისტკივილით მოგმართავთ თქვენ და გთხოვთ დახმარებას. მეტალურგების საქვეყნოდ ცნობილ ქალაქში არა გვაქვს საშუალო ტიპის ისეთი საჭიდაო დარბაზი, სადაც შესაძლებელი იქნება ნორმალური მეცადინეობა და ვარჯიშის შემდეგ თბილი შხაპის მიღება. საერთოდ, რუსთავის მოჭიდავეებს არ ახსოვთ, რომ ოდესმე თბილი შხაპი ჰქონოდეთ. ჩვენ მხოლოდ რესპუბლიკურ პირველობებში მონაწილეობის დროს თუ გადავივლებთ ცხელ წყალს და ისიც თბილისში, სოხუმში ან სხვა რომელიმე ქალაქში.

მაგრამ მარტო ეს რომ გვაწუხებდეს, გვერწმუნეთ, ხმასაც არ ამოვიღებდით. ჩვენი გულისტკივილი უფრო კონკრეტულია და მას პატარა ისტორიაც აქვს.

1971 წლამდე მეტალურგების კულტურის სასახლესთან არსებულ სპორტულ დარბაზში ვმეცადინეობდით (ეს შენობა პასპორტითაც სპორტულ დარბაზად იწოდება). იგი ასე თუ ისე აკმაყოფილებდა ჩვენს მოთხოვნებს, ვინაიდან იყო ნათელი და თბილი, გვყავდა დამლაგებელი, ღამის დარაჯი და გვქონდა ტელეფონი, რომლითაც ვსარგებლობდით მაშინ, როდესაც ვინმე ტრავმას მიიღებდა.

ერთ მშვენიერ დღეს ხმა დაირხა: მოცეკვავეთა ანსამბლ „სალხინოს" რეპეტიციებისთვის კულტურის სახლის სცენა არ აკმაყოფილებსო და ვიღაცის ინიციატივით, ვიღაცის თანხმობით ჩვენს დარბაზში უნდა იმეცადინონო. მაშინვე გამოგვასახლეს, ოღონდ დაგვპირდნენ: მოკლე ხანში აგიშენებთ ახალ დარბაზს და თანამედროვე საჭიდაო ლეიბებსაც გიყიდითო. ჩვენი დანაშაული სწორედ ისაა, რომ ვენდეთ უფროსი ამხანაგების დაპირებას და დროებით შევსახლდით „დარბაზში", რომლის მსგავსი ალბად ქვეყნად არ მოიძებნება.

უფრო ზუსტად, ეს ვაიდარბაზი წარმოადგენს უპატრონოდ მიტოვებულ სოფლის საბძელის ტიპის შენობას,





რუსთაველი მოჭიდავეების გაჭირვება კარგად ჩანს ამ ორ ფოტოსურათზეც. ეს ის შენობაა, რომელმაც სპორტსმენები და მწვრთნელები უკიდურეს ზომამდე მიიყვანა. შენობას, მართლაც ძნელია, სპორტდარბაზი ეწოდოს თუნდაც იმიტომ, რომ მისი სამივე ფანჯარა ვიღაც გონებამახვილ „გამომგონებელს" საგულდაგულოდ ამოუქოლ... ლესია და გარე სამყაროსთან კავშირის დასამყარებლად ერთი პატარა ხვრელი დაუტოვებია.

თუ სპორტსმენებს მეცადინეობის პროცესში მართლაც სჭირდებათ უანგბადი, თამამად შეუძლიათ ისარგებლონ ამ ხვრელიდან შემოსული ჰაერის ნაკადით. ხედავთ, რა მარტივად წყდება მნიშვნელოვანი საკითხები? მარტივად და თანაც, იუმორით.

მარჯვენა სურათზე აღბეჭდილია წყლისგან გაოხრებული, დამპალი ლეიბების გროვა, რომლებიც მოჭიდავეებმა გარეთ გამოყარეს. ეს არის პირდაპირი ფოტობრალდება იმათ მიმართ, ვინც ყურად არ იღებს სპორტსმენთა სამართლიან საყვედურებს.

გ. ჯანდიერის ფოტოები.

რომელსაც აქვს თხელი, სიფრიფანა ჭერი და ორი მუშტისხელა ფანჯარა. გასახდელზე და შხაპზე არაფერს ვამბობთ — იგი, რა თქმა უნდა, ამ „დარბაზს" არ გააჩნია. მისი ერთადერთი ღირსება გათბობა იყო.

ერთხელ გათბობის გაყვანილობის მილი გასკდა და მთელი სისტემა გამოვიდა მწყობრიდან. ხაზი გადაკეტეს ისე, რომ არ შეუკეთებიათ. წლეულს, ნოემბერში გათბობა ისევ ჩართეს და... გამსკდარი მილიდან წყალმა ნაკადულად იწყო დენა. დასველდა და გაოხრდა სახელმწიფო ქონება — ხუთი ლეიბი, რომლებიც გარეთ გამოვყარეთ. მაგრამ წყლის დენა ვერაფერმა შეაჩერა. ბოლოს მან იატაკიც დაალპო და იძულებული გავხდით მეცადინეობა შეგვეწყვიტა. ახლა ვართ ასე, უსაქმოდ და ველით თქვენს დახმარებას. იქნებ გვიშველოთ?

წერილს ხელს აწერენ რუსთაველი მოჭიდავეები (ჯ. ჩიხრაძე, გ. მაჭარაშვილი, ი. მინდიაშვილი, ბ. ჯიბღაშვილი, გ. შევიაკოვი, მ. ალიევი, ო. მაისურაძე, ბ. მაგრაქველიძე, კ. ხადური, თ. ხარაიშვილი, ნ. იდუკაშვილი, ა. დიასამიძე, თ. ნოზაძე) და მწვრთნელები (პ. ჯიოშვილი, ა. მენაბდიშვილი, ი. ბეკოშვილი, ვ. ლაფაჩიშვილი, გ. ღარიბაშვილი).

**რედაქციისგან:** რუსთავის მოჭიდავეებისა და მწვრთნელთა გულისტკივილი ადვილი გასაგებია. ვის არ მიმართეს მათ დახმარებისთვის, ვის არ გაუზიარეს გულისტკივილი, მაგრამ... მეტალურგთა ქალაქის მოჭიდავეები დღესაც ამაოდ დაეხეტებიან დარბაზის ძებნაში. როცა სპორტსმენებისგან მაღალ მაჩვენებლებს მოვითხოვთ, უნდა შევუქმნათ კიდეც მათ წვრთნის ელემენტარული პირობები. საინტერესოა, რატომ გამოაძევეს მეტალურგების კულტურის სასახლის სპორტული დარბაზიდან მოჭიდავეები, ან სად არის დაპირებული დარბაზი?



ბაკურიანში შარშანდელ სეზონში დაუმთავრებელი სპორტული ბაზების მშენებლობა ნოემბრის დამლევს გაგრძელდა. საციგაო ტრასა სრულყოფილი რომ იყოს, მას კიდევ სამი ვირაჟი უნდა დაემატოს, ეს კი საკმაო დროს მოითხოვს. მართალია, ხის მასალა შემოზიდეს, კონსტრუქციების ნაწილიც უკვე დაამზადეს, მაგრამ შრომის ტემპი თუ არ დაჩქარდა, საეჭვოა, ტრასა პირველი სტარტისთვის მთლიანად მზად იყოს.

* * *

სურათზე: საციგაო ტრასის ღარისთვის ხის კონსტრუქციების დამზადება.

მ. ზაქარეიშვილის ფოტო. (ჩვენი სპეც. კორ.).

# კარგი მუშაობის კვალი

გადაჭარბებული არ იქნება, თუ გორის სასკოლო ფიზკულტურულ კოლექტივებს შორის ერთგვარ უპირატესობას მე-10 საშუალო სკოლას მივანიჭებთ. სკოლაში ფასობრივ-ფიზკულტურულ აღზრდას წლების მანძილზე უძღვება კარგი სპეციალისტი, მასწავლებელი ყ. ასკილაშვილი. მას მხარში ამოუდგა კოლექტივში არცთუ ისე დიდი ხნის წინ მოსული გ. გაბუნია. მათ საინტერესო, შინაარსიანი მუშაობა გააჩაღეს მოსწავლე სპორტსმენებთან.

ფიზკულტურულმა კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა მშდ ნიშნოსნების მომზადების გეგმა. მაგალითად, I საფეხურზე 20 ბავშვის ნაცვლად მომზადებულია 130, მეორეზე 25-ს ნაცვლად — 70, მესამეზე 18-ს ნაცვლად — 30. მოზარდთა პირველ და მესამე თანრიგებშიც 100 ბავშვით მეტი იქნა მომზადებული. გეგმის გარეშე თავისუფალ ჭიდაობაში მომზადებულია 3 პირველთანრიგოსანი — ნ. ლურსმანაშვილი, ნ. მაისურაძე და გ. ნარიკაევი.

ფიზკულტურული საქმიანობის წინსვლას დიდად უწყობს ხელს სპორტის პროპაგანდა. სკოლაში მოწყობილია სტენდები, რომლებიც მშობლიური ქალაქისა და რესპუბლიკის სახელოვან სპორტსმენთა ცხოვრებას ასახავენ, ეწყობა შიდასასკოლო შეჯიბრებები, რომელშიც ბევრი მოსწავლე მონაწილეობს. ჩატარდა IV, V და VI კლასების მოსწავლეთა შეჯიბრება მძლეოსნურ ხუთჭიდში. VI-კლასელ გოგონათა მორის ტოლი არ ჰყავდათ ზ. ბექაურს, ბ. ხუბულურს, ი. ჩიჩუას, ხოლო ბიჭებში — გ. ბააზოვს.

ბავშვებს უყვართ ტურისტული ლაშქრობები. თრიალეთის მთის ფერდობებზე, გორიჯვრისა და ატენის ხეობის მიდამოებში მოწყობილმა ლაშქრობამ 150-ზე მეტი მოსწავლე მიიზიდა, რომლებმაც მშდ ნორმატივებიც ჩააბარეს.

სკოლაში ფიზკულტურულ-სპორტულ საქმიანობას დიდად უწყობს ხელს კალათბურთის, ფრენბურთისა და ხელბურთის მოედნები, აგრეთვე, ახლახან დადგმული დაბრკოლებათა ზოლი. ამ ბაზების არსებობა სკოლის შეფის — მე-9 სამშენებლო ტრესტის ხისდამამუშავებელი ქარხნის (დირექტორი ნ. სადალაშვილი) კოლექტივის მზრუნველობას უნდა მიეწეროს.

ბევრი მიმდევარი გაუჩნდა მაგიდის ჩოგბურთს. ამ ინტერესის მიზეზია სკოლის აღსაზრდელის, VIII კლასის მოსწავლის ლიანა მაისურაძის წარმატებები სასკოლო და საქალაქო შეჯიბრებებში.

წარმატებათა ამ ფონზე სასურველია, უკეთესი იყოს სკოლის სპორტდარბაზი. მას არ უვარგა იატაკი, არა აქვს გასახდელები. ბავშვები იძულებული არიან მეცადინეობის დროს ტანსაცმელი სხვადასხვა საკლასო ოთახში შეინახონ.

ი. თევდორაშვილი. (ჩვენი კორ.).

ქ. გორი.

## ფიზკულტურის კოლექტივებში

# როცა გული გულობს

კარგი ფიზკულტურული კოლექტივი შეიქმნა საქმთავარენერგოს ზესტაფონის ელექტროქსელის წარმოებაში (დირექტორი გ. ჭავჭანიძე). ფიზკულტურელებს ყველა პირობა აქვთ ვარჯიშისთვის და შეჯიბრებაში მონაწილეობისთვის. მათს ბაზებს ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელებიც იყენებენ.

საწარმოს ფიზკულტურელებმა გადაჭარბებით შეასრულეს მშდ ნიშნოსანთა და თანრიგოსანთა გეგმები, „განთიადის" რაისაბჭოს პირველობაში ჩემპიონთა სახელი დაისაკუთრეს კალათბურთსა და ფრენბურთში, ხოლო მოჭადრაკეთა ტურნირში III ადგილზე გავიდნენ.

ფიზკულტურული კოლექტივის თავკაცი ვ. არაბიძე დიდი მონდომებით ეკიდება სპორტული სექციების მუშაობას. იგი კალათბურთელთა და ფრენბურთელთა გუნდებს ამეცადინებს, ჭადრაკისა და შაშის სექციებს ხელმძღვანელობს ინჟინერი გ. კახნიაშვილი, მაგიდის ჩოგბურთელებს — ინჟინერი ნ. ნიქაბაძე.

საწარმოს ფიზკულტურული კოლექტივი სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობს.

ა. განუგრავა. (ჩვენი კორ.).



# გამარჯვებულებს ფინიშთან აჯილდოებდნენ

ჭიათურის ცენტრალური სტადიონი ყოველთვის მზად არის მოემსახუროს მშდ-ს კომპლექსის ნორმატივების ჩამბარებლებს. ამ დღესაც სტადიონი საზეიმოდ იყო მორთული. სოფლის 19 საშუალო სკოლის 196 მოსწავლე ეჯიბრებოდა ერთმანეთს ნორმატივების ჩაბარებაში.

პირველ ადგილზე გავიდა ზოდის, მეორეზე — წირქვალის და მესამეზე — კაცხის საშუალო სკოლების (ფიზაღზრდის მასწავლებლები გ. გაფრინდაშვილი, მ. ბარბაქაძე, ა. ტყემალაძე) კოლექტივები. მოსწავლეებმა: რ. გაფრინდაშვილმა (ხელიფაური), ა. ჯაოშვილმა (ნიგოზეთი), ლ. გაბესკელიანმა, მ. ბარათაშვილმა (ორივე — ზოდი), ე. მაჭარაშვილმა (მერევი), ე. ფარქოსაძემ (ითხვისი) ნორმები ოქროს სამკერდე ნიშანზე ჩააბარეს. შეჯიბრებათა დამთავრებისთანავე გამარჯვებულებს აჯილდოებდნენ სიგელებით და სამკერდე ნიშნებით, რაც კიდევ უფრო მეტ ინტერესს მატებდა ტურნირს.

განათლების განყოფილებას გადაწყვეტილი აქვს უახლოეს დროში ჩაატაროს ასეთივე შეჯიბრება სოფლის რვაწლიან სკოლებს შორის, საასპარეზოდ გამოვლენ მშდ-ს II საფეხურის ნორმატივების ჩამბარებლები.

შ. ტატიშვილი. (ჩვენი კორ.).

ჭიათურა.

# ორი დღე მოძმე აზერბაიჯანში

დიდი ხნის მეგობრობა აკავშირებთ აზერბაიჯანის ბელაქნის, კახისა და საქართველოს ლაგოდეხის რაიონების მშრომელებს. ამას წინათ კომკავშირის ლაგოდეხის რაიკომისა და ავტომოყვარულთა საზოგადოების რაიონული საბჭოს თაოსნობით მოეწყო ავტომოტოგადარბენა მარშრუტით: ლაგოდეხი — ბელაქანი — კახი — მინგეჩაური — ალიაბათი — ლაგოდეხი.

ავტომოტოგადარბენამ დიდი ინტერესი გამოიწვია მეზობელ რაიონებში. გადარბენის მონაწილეებს საზეიმოდ ხვდებოდნენ, იმართებოდა შეხვედრები, საუბრები. მოლაშქრეებს გულთბილი მასპინძლობა გაუწიეს ზაქათალის რაიონის სოფელ ალიაბათის ქართული საშუალო სკოლის პედაგოგებმა და მოსწავლეებმა. ლაშქრობაში მონაწილეობდა ლაგოდეხის რაიონის კომკავშირის რაიკომის პირველი მდივანი ჯ. ეგეტაშვილი.

მოლაშქრენი შინ მდიდარი შთაბეჭდილებებით დაბრუნდნენ.

ი. ჯავახიშვილი.

ლაგოდეხი.

რესპუბლიკური ფედერაციების პლენუმებზე

# შიარადონი

გაიმართა სასტენდო სროლის რესპუბლიკური ფედერაციის მორიგი პლენუმი. რესპუბლიკაში სასტენდო სროლის მდგომარეობის შესახებ მოხსენებით გამოვიდა სასტენდო სროლის რესპუბლიკური ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე ს. მატოიანი.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საგრძნობლად გაიზარდა იმ ფიზკულტურული კოლექტივების რიცხვი, სადაც დანერგილია სასტენდო სროლა. ილაპარაკა იმ მიღწევებზე, რომელიც საქართველოს სპორტსმენებს აქვთ მოპოვებული. თქვა, რომ სსრ კავშირის ნაკრების წევრმა, სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა ტ. ქლენტმა, შარშან იტალიაში მრგვალ სტენდზე გამართულ შეჯიბრებაში მსოფლიო რეკორდი დაამყარა და ევროპის ჩემპიონი გახდა. გუნდურ ჩათვლაში კი ორჯერ ზედიზედ მსოფლიო ჩემპიონის ოქროს მედალი დაისაკუთრა. აღნიშნა, აგრეთვე, სსრ კავშირის ნაკრების წევრის, სპორტის ოსტატ იმხაიშვილის, მატოიანის, შენგელიას; ადგილიდან სროლაში — კონდრატიევის, ამირხანოვის მიღწევები. ამ პერსპექტიული სპორტსმენების მომზადებაში დიდი წვლილი მიუძღვით მწვრთნელებს ზ. მაჩხანელს და ლ. სიმონიანს.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატი ზ. მაჩხანელი, რომელიც ძალიან ბევრს აკეთებს რესპუბლიკაში სასტენდო სროლის განვითარებისთვის.

სასტენდო სროლის განვითარების საქმეში ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან — „ლოკომოტივი" (თავმჯდომარე თ. კაჭახიძე), ამიერკავკასიის სამხედრო-მონადირეთა კავშირი (ვ. გოგელიანი), „განთიადი" (ა. გიორგობიანი) და მონკავშირი (შ. ციხისთავი).

მოახლოვდა სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა. ყველას გვახსოვს თუ რა სიხარულით შევხვდით IV სპარტაკიადიდან დაბრუნებულ „ოქროს მედალოსნებს" — მაჩხანელს, დარასელიას, ალავერდოვს და საგანელიძეს. იმისთვის, რომ VI სპარტაკიადაზე არ შევრცხვეთ და წარმატებას მივაღწიოთ, საჭიროა აქედანვე ვიზრუნოთ იმ ნაკლოვანებების აღმოსაფხვრელად, რომლებიც გვაქვს ამ დარგში. არმიელ მონადირეთა სტენდი არ კმარა. ფედერაციამ ახალი სტენდის ასაგებად, როგორც იქნა, მოახერხა მიწის ნაკვეთის მიღება, პროექტიც შეადგინეს, ახალი ტექნიკით აღჭურვილი მოწყობილობაც არის, მაგრამ ბაზის მშენებლობა 1975 წლის გეგმაშიც კი არ არის შეტანილი.

დროა, ფიზკულტურისა და სპორტის რესპუბლიკურმა კომიტეტმა ხელი მოკიდოს ამ საქმეს. ჩვენს მესტენდურეებს, რომლებსაც კარგი წარმატებები აქვთ, უნდა ჰქონდეთ კეთილმოწყობილი სტენდი.

ითქვა, რომ სოხუმელი მესტენდურეები ყოველთვის მოწინავეთა რიგებში იყვნენ, მაგრამ ამჟამად ერთადერთ სპორტსმენს, ჩვენი ნაკრების წევრს, კ. დარასელიას არა თუ სტენდი, ხეირიანი თოფიც კი არა აქვს სავარჯიშოდ.

რესპუბლიკური ნაკრების წევრები 10 წელზე მეტია ერთი და იგივე იარაღით ვარჯიშობენ. იმისთვის, რომ სპარტაკიადაზე სხვა რესპუბლიკების წარმომადგენლებთან შეჯიბრების თანაბარი პირობები გვქონდეს, აუცილებელია ნაკრები უმაღლესი ხარისხის თოფებით და ვაზნებით უზრუნველვყოთ.

პლენუმზე ისიც აღინიშნა, რომ რესპუბლიკაში 10-ზე მეტი საკავშირო კატეგორიის მსაჯია. შეჯიბრების დროს კი მსაჯების უკმარობას განვიცდით. ახალი წესის თანახმად, ყველა მსროლელს უნდა ჰქონდეს სამსაჯო კატეგორია, ჩვენი მსროლელების უმრავლესობას ეს არა აქვს და ნაკლი დროულად უნდა გამოსწორდეს.

მესტენდურეების სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადისთვის მზადების შესახებ სიტყვით გამოსულმა ლ. ანდღულაძემ (საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი) ყურადღება გაამახვილა სპორტსმენთა დისციპლინაზე.

კამათში მონაწილეობდნენ: საკავშირო კატეგორიის მსაჯი ჯ. მოწონელიძე, ამიერკავკასიის სამხედრო-მონადირეთა საზოგადოების თავმჯდომარე ვ. გოგელიანი, მონკავშირის თავმჯდომარის მოადგილე ლ. გუნიავა, სასტენდო სროლის ფედერაციის პასუხისმგებელი მდივანი ლ. ციციშვილი, საქართველოს სპორტკომიტეტის გამოყენებითი სპორტის განყოფილების უფროსი დ. კაპცოვი.

დასასრულ მოეწყო სასტენდო სროლის რესპუბლიკური ფედერაციის ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნები. ფედერაციის თავმჯდომარედ აირჩიეს დ. მარგალიტაძე, მოადგილედ — ს. მატოიანი, პასუხისმგებელ მდივნად — ლ. ციციშვილი. მწვრთნელთა საბჭოს თავმჯდომარედ არჩეულია შ. ჩახნაშვილი, მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარედ — ჯ. მოწონელიძე.

# პლენუმი არ შედგა

საქართველოს სასროლო სპორტის ფედერაციის ბოლო არჩევნებიდან ოთხნახევარი წელი გავიდა. მაშინდელ საანგარიშო-საარჩევნო პლენუმის მუშაობის მთავარ შინაარსს სსრ კავშირის ხალხთა V საიუბილეო სპარტაკიადისთვის მზადება შეადგენდა. პლენუმმა საკმაოდ საქმიანი დადგენილება მიიღო, ფედერაციის მწვრთნელთა საბჭოსა და მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმებში ისეთი ადამიანები აირჩიეს, რომ რესპუბლიკაში ტყვიის სროლის შემდგომი განვითარებისთვის, სპარტაკიადისთვის რესპუბლიკის ნაკრები გუნდის სათანადოდ მომზადებისთვის ყველაფერს გააკეთებდნენ.

ბევრმა იმედი მართლაც გაამართლა; ფედერაცია ერთხანს გულმოდგინედ მუშაობდა, მაგრამ ეს ენთუზიაზმი დიდხანს როდი გაჰყვათ, უკანასკნელ პერიოდში კი ფედერაციამ არსებობაც შეწყვიტა. აღარც მის თავმჯდომარეს კ. ჭანჭალეიშვილს, აღარც მოადგილეებს მ. ჯაფარიძესა და ა. ბაქრაძეს აღარ მოჰგონებიათ, რომ ტყვიის სროლაში ყველა საკითხი ჯერ კიდევ მოუგვარებელი იყო; შემცირდა მომეცადინეთა რიცხვი, რესპუბლიკის ნაკრების ვეტერანები სპორტს ჩამოშორდნენ, მათი რეზერვისთვის კი მეტისმეტად ცოტას ზრუნავდნენ.

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა კარს მოგვადგა, ფედერაცია კი თითს თითზე არ აკარებდა.

პლენუმის მონაწილენი გუშინწინ ალპიურ კლუბში უნდა შეკრებილიყვნენ, რომ საქართველოში ტყვიის სროლის, სპორტსაზოგადოებებში სპორტის ამ სახეობის განვითარების, ბაზების ქსელის, ინვენტარის შევსების ხელშემშლელ პირობებზე ემსჯელათ, ლონისძიება დაესახათ, აერჩიათ ფედერაციის, მწვრთნელთა საბჭოს, მსაჯთა კოლეგიის ახალი შემადგენლობანი, რომლებიც სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადამდე დარჩენილ დროში რესპუბლიკის ნაკრებს სათანადო დახმარებას გაუწევდნენ და მომავალ არჩევნებამდე საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ტყვიის სროლის განვითარების საქმეში არსებული ხარვეზების დაძლევისთვის საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტთან ერთად იზრუნებდნენ. მაგრამ...

საქართველოს ფიზკულტურის კომიტეტმა, რომელიც იძულებული გახდა ფაქტიურად ფედერაციის ხელახლა შექმნაზე ეზრუნა და აჭარის, აფხაზეთის, ქუთაისის, თბილისის სპორტკომიტეტებს, „ბურევესტნიკის", „განთიადის", „დინამოს", „კოლმეურნის", „სპარტაკის", „ლოკომოტივის" რესპუბლიკურ და ცენტრალურ საბჭოებს, სპორტული ოსტატობის № 2 რესპუბლიკურ სკოლას პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად გადამწყვეტი ხმით 3-3 დელეგატის მოვლინება მოსთხოვა, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს, თბილისის განათლების განყოფილებას, რესპუბლიკის დოსაფის ცენტრალურ კომიტეტს, საქართველოს პროფსაბჭოს, საქართველოს კომკავშირის ცენტრალურ კომიტეტს, ასკ-ს ორ-ორი ადგილი მისცა, ახალგაზრდული და სპორტული გაზეთების რედაქციებს — სამი. სულ 50 კაცამდე უნდა შეგროვილიყო.

პლენუმის დაწყების ვადას საკმაოდ გადაშორდა, მაგრამ ძველი ფედერაციის პრეზიდიუმის 12, მწვრთნელთა საბჭოსა და მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის 5-5 წევრიდან პლენუმის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად მხოლოდ ორი მოვიდა — მსაჯთა კოლეგიის პრეზიდიუმის თავმჯდომარე რ. ზაალიშვილი და ამ პრეზიდიუმის წევრი რ. კაცობაშვილი. სად იყვნენ სხვები, რატომ არ გამოჩნდნენ?

პლენუმზე ყველა დელეგატი მხოლოდ უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 2 სკოლამ გამოგზავნა. სხვები თითო კაცის მოვლინებით დაკმაყოფილდნენ. „ლოკომოტივის", „კოლმეურნის", აფხაზეთისა და აჭარის სპორტკომიტეტებმა თავი არ შეიწუხეს. რატომ? ტყვიის სროლის განვითარებისთვის ასეთი ზრუნვით ისინი განა შორს წავლენ?

პლენუმი ჩაიშალა.



## ინტერნატელთა გარჯილობა

გულრიფშის რაიონის დრანდის სკოლა-ინტერნატში (დირექტორი ო. კეკელია) ფიზკულტურასა და სპორტს დიდი ყურადღება ექცევა. სასწავლებელს გააჩნია კეთილმოწყობილი მოედნები და სპორტდარბაზი. მუშაობის წარმატებას ხელს უწყობს სასწავლო გეგმები, მშდ კომპლექსის მიმღები კომისიის დროულად შექმნა, შიდასასკოლო შეჯიბრებათა კალენდარი და სხვ.

სკოლის პედაგოგიურ საბჭოში საგანგებოდ იქნა განხილული მოსწავლეთა მონაწილეობა სკოლა-ინტერნატების საქართველოს III სპარტაკიადაში.

შარშან ინტერნატის ნაკრები გუნდები წარმატებით მონაწილეობდნენ რაიონულ შეჯიბრებებში. ფრენბურთელებმა II ადგილი დაიკავეს საქართველოს სკოლა-ინტერნატების სპარტაკიადაში.

სკოლის სპორტული ცხოვრების მაჯისცემას უნარიანად ხელმძღვანელობენ ფიზაღზრდის მასწავლებლები დ. ბაბლუანი და თ. სისორდია. ახლა ინტერნატელები გულდასმით ემზადებიან საქართველოს ინტერნატელთა III სპარტაკიადაში მონაწილეობის მისაღებად.

ხ. ჯალაღონია.

სსრ კავშირის ჩემპიონატი

## რვა ქულით ლიდერმა კვლავ გაიმარჯვა

გაიმართა მორიგი ტურის მატჩები.

**მინსკი.** „სტროიტელთან" პირველ შეხვედრაში დამარცხების შემდეგ ბელორუსიის კალათბურთელები აგრესიულად იყვნენ განწყობილი და მიაღწიეს კიდეც მიზანს. რტი-მ გაიმარჯვა 8 ქულით — 73:65.

**კაუნასი.** ადგილობრივი სპორტის სასახლე სავსე იყო მაყურებლებით. ლიდერის — ლენინგრადის „სპარტაკის" მატჩმა უდიდესი ინტერესი გამოიწვია გულშემატკივრებში და უნდა ითქვას, რომ მათი მოლოდინი გამართლდა. ბრძოლა იყო უაღრესად მძაფრი და საინტერესო. დიდხანს ვერც იტყოდით ვის მხარეს იყო უპირატესობა, მაგრამ ლიდერმა კარგად ჩაატარა მატჩის დასკვნითი ნაწილი და გაიმარჯვა — 73:64.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 21 დეკემბრისთვის

| | თ. | მ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" | 15 | 13 | 2 | 1281—1075 | 13 |
| „დინ." (თბ.) | 12 | 11 | 1 | 1075—987 | 11 |
| ცსკა | 12 | 9 | 3 | 1118—968 | 9 |
| „დინ." (მ.) | 12 | 9 | 3 | 1031—899 | 9 |
| „ჟალგირისი" | 13 | 8 | 5 | 1099—1075 | 8 |
| „კალევი" | 12 | 5 | 7 | 965—955 | 5 |
| „სტროიტელი" | 12 | 4 | 8 | 966—1015 | 4 |
| რტი | 16 | 3 | 13 | 1253—1422 | 3 |
| „სტატიბა" | 12 | 2 | 10 | 947—1097 | 2 |
| „ურალმაში" | 14 | 1 | 13 | 1110—1352 | 1 |

## ექვსიდან — ექვსი

გუშინწინ ფრუნზეში დაიწყო უმაღლესი ლიგის კალათბურთელ ქალთა I წრის დასკვნითი ტური.

საერთო ყურადღების ცენტრში იყო მოსკოვის ოლქის „სპარტაკისა" და „ურალმაშის" შეხვედრა. ურალელმა კალათბურთელებმა ჩემპიონატი წარუმატებლად დაიწყეს: სატურნირო ცხრილში ისინი VII ადგილზე იმყოფებიან, „სპარტაკი" კი ერთპიროვნულ ლიდერს, რიგის ტტტ-ს მხოლოდ ქულით ჩამორჩება. ცხადია, ერთი თავისი მდგომარეობის გაუმჯობესებას ცდილობდა, მეორე კი სატურნირო ცხრილში პოზიციის განმტკიცებას.

ამჯერად ურალელმა კალათბურთელებმა გაიმარჯვეს — 68:64.

ტტტ-მ შედარებით ადვილად მოუგო ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტის კალათბურთელებს — 76:52. ქულა ჩაიწერა სატურნირო ცხრილში ლენინგრადის „სპარტაკმაც". მან ვილნიუსის „კიბირკშტისი" დაამარცხა — 69:53.

დანარჩენი შეხვედრები ასე დამთავრდა: „დინამო" (მოსკოვი) — „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) 87:61, „დინამო" (კიევი) — „სტალი" (დნეპროპეტროვსკი) 84:74.

შეგახსენებთ, რომ გათამაშებას ჰყავს ერთპიროვნული ლიდერი — ტტტ. მან ყველა 6 შეხვედრა მოიგო. 5 ქულით II ადგილზეა ლენინგრადის „სპარტაკი". 4-4 ქულა მოაგროვეს მოსკოვის ოლქის „სპარტაკმა" და „კიბირკშტისმა". შემდეგ მოდიან: მოსკოვის „დინამო" (4), სვერდლოვსკის „ურალმაში" (3), ტაშკენტის ფიზკულტურის ინსტიტუტი (3)...





**ზ**აპოროჟიეში ახლახან დამთავრებულ სსრ კავშირის თასისა და ძალოსნური ორჭიდის ცალკეულ სახეობებში ჩემპიონთა ოქროს მედლების გათამაშებამ 3 მსოფლიო რეკორდი შვა და სამივეს ავტორები შესანიშნავი მახტელი ძალოსნები დ. რიგერტი (ქვემძიმე წონა) და ვ. ალექსეევი (ზემძიმე) იყვნენ. პირველმა 178 კგ აიტაცა, ხოლო ორჭიდში 392,5 კგ დააგროვა, ალექსეევმა კი აკვრაში 243 კგ აწია. რიგერტის მაჩვენებელი აცაცში მხოლოდ ალექსეევისას ჩამორჩებოდა ამ შეჯიბრებაში, ხოლო ორჭიდში — თანაქალაქელისა და ა. ენალდიევის მაჩვენებლებს. ეს ამ შესანიშნავი ძალოსნის ამოუწურავ შესაძლებლობებზე ლაპარაკობს. შეჯიბრების შემდეგ ალექსეევმა თქვა, რომ შორს არ არის დრო, როცა ორჭიდში ზემძიმე წონის ძალოსნები 450 კგ-ს დააგროვებენ. ალექსეევის სიტყვებით ეს გიგანტური ჯამი უნდა შედგეს ახე: აცაცი — 195 კგ, აკვრა — 255 კგ. რა თქმა უნდა, მე არ ვაპირებ მეწყვიტო რეკორდებზე იერიში, მაგრამ თუ ამ ზღვარის გადალახვა ვერ შევძელი, ამას აუცილებლად ჩემი ახალგაზრდა მემკვიდრეები მიაღწევენ.

* * *

სურათებზე: ზევით — დ. რიგერტი, ქვევით — ვ. ალექსეევი.

ვ. გალაკტიონოვის ფოტოები.

# რას ამბობს პელე:

## განვლილ მსოფლიო ჩემპიონატზე, ბრაზილიის ნაკრებზე, თავის „მემკვიდრე“ კრუიფზე, საკუთარ თავზე

პელე წავიდა მწვანე მინდვრიდან. საბოლოოდ. მაგრამ ეს გარემოება სულაც არ აფერხებს სხვადასხვა ჟურნალ-გაზეთის წარმომადგენლებს, რომლებიც კვლავ გარს ეხვევიან განთქმულ ფეხბურთელს და თხოვენ გამოთქვას თავისი აზრი უმთავრეს საფეხბურთო პრობლემებზე, შეაფასოს განვლილი მსოფლიო ჩემპიონატის შედეგები, ილაპარაკოს მომავალზე. საინტერესოა მისი რამდენიმე მოსაზრება, რომლებიც ამას წინათ გამოქვეყნდა ბრაზილიურ პრესაში.

— გფრ-ის ნაკრებთან ფინალურ მატჩში განცდილი მარცხის მიუხედავად ჰოლანდიელებმა საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვეს თამაშის ორიგინალური მანერით, აქტიურობით, გამომგონებლობით, ბრაზილიის საფეხბურთო აუდიტორია დიდი პატივისცემისა და მოწონების გრძნობით განიმსჭვალა მათ მიმართ, თუმცა, სწორედ ჰოლანდიის გუნდმა დაუმსხვრია ჩვენს ნაკრებს მსოფლიო ჩემპიონატებში მეოთხე გამარჯვების მოპოვების იმედები.

ჩემი აზრით, ბრაზილიელთა დამარცხება, რომლებიც ამ მცირე ხნის წინ საერთაშორისო ფეხბურთის მასწავლებლებად ითვლებოდნენ, სასარგებლო, ჭკუის სასწავლებელ გაკვეთილად გამოგვადგება. ყოველ შემთხვევაში, მე მჯერა ამისა.

მჯერა ისიც, რომ საფეხბურთო ბრაზილია სულ მალე აღორძინდება და ტონს მისცემს მსოფლიო ფეხბურთს. შეიძლება ეს მოხდეს უკვე 1976 წელს, როცა ჩვენს ქვეყანაში მოეწყობა დიდი საერთაშორისო ტურნირი.

ჰოლანდიური ფეხბურთი, კერძოდ, „აიაქსი“ და იოჰან კრუიფი კარგად იყო ცნობილი ბოლო ხანებში როგორც ევროპაში, ისე სამხრეთ ამერიკაშიც. X მსოფლიო ჩემპიონატში მიღებულმა წარმატებამ ძალზე შეამცირა მის არაკეთილმოსურნეთა რიცხვი ბრაზილიაში, სადაც მუდამ აფასებდნენ არტისტულ, იმპროვიზაციით აღსავსე ფეხბურთს. თუ მკითხავენ, ვინ იყო განვლილი ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშე, უყოყმანოდ დავასახელებ კრუიფს, თუმცა ფინალურ მატჩში გფრ-ის ნაკრებთან იგი მაინცდამაინც არ მომეწონა. ამას გარდა, გული დამწყვიტა კრუიფის განცხადებამ ფინალური მატჩის წინ: „ეს ჩემი ბოლო გამოსვლაა მსოფლიო ჩემპიონატში“. ჯერ ერთი, კრუიფისთვის მიუნჰენი პირველი მსოფლიო ჩემპიონატი იყო, და მეორეც — შემდგომი გათამაშებისას არგენტინაში იგი სულ 31 წლისა იქნება.



რა თქმა უნდა, ეს ყოველი ფეხბურთელის პირადი საქმეა — უარი თქვას მსოფლიო ჩემპიონატში მონაწილეობაზე თავისი სპორტული კარიერის ზენიტში ყოფნისას და ბევრნი ჩემს მაგალითზე აპირებენ ანალოგიის გავლებას, მაგრამ მე 34 წლისა ვხდები, ეს ერთი, გარდა ამისა, მონაწილეობა მაქვს მიღებული მსოფლიოს 4 ჩემპიონატში, სადაც ბრაზილია 3-ჯერ გახდა პირველი პრიზის მფლობელი.

თუ კრუიფი მართლა აპირებს ბოიკოტი გამოუცხადოს მსოფლიო ჩემპიონატებს, იგი ამით ძნელ მდგომარეობაში ჩააგდებს მომავალი გათამაშების ორგანიზატორებს. არავისთვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ მას უდიდესი ინტერესით მოელიან სამხრეთამერიკელი ფეხბურთის მოყვარულები, კერძოდ, არგენტინელები. ამას ისიც დაუმატეთ, რომ თვით კრუიფის პირადი დამსახურებანი მსოფლიო ფეხბურთის წინაშე განახევრებული დარჩება.

რასაკვირველია, კრუიფს კარგად ესმის, რომ მის მიმართ კიდევ უფრო საგანგებო, მკაცრ ზომებს მიმართავენ მინდორზე, ისიც იცის, რომ 31 წლის ასაკში რამდენადმე დაკარგავს სისწრაფეს, მაგრამ გამოსავალი ამ მდგომარეობიდან არსებობს. განა მარტო სისწრაფის ხარჯზე შეიძლება თამაში? კრუიფს ხომ უბრწყინვალესი ტექნიკა აქვს.

რატომღაც დარწმუნებული ვარ, რომ კრუიფი ითამაშებს არგენტინაში. უნდა ითამაშოს! არავის უნდა კრუიფი ჩამქრალ ვარსკვლავად იხილოს. ამისთვის ხომ არ აღმობრწყინებულა მისი ტალანტი?

ხშირად მეკითხებიან ახალ ჩემპიონზე — გფრ-ის ნაკრებზე. პასუხი მხოლოდ ერთი მაქვს: გერმანელთა გამარჯვება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ჩაითვალოს შემთხვევით მოვლენად. ისინი უმაღლეს დონეზე იბრძოდნენ და, საერთოდ, გფრ-ის, ჰოლანდიის, პოლონეთის, გდრ-ის, შვეციის, შოტლანდიის, ნაწილობრივ, იუგოსლავიის ფეხბურთელთა გამოსვლებმა ცხადყო, რომ ძველ კონტინენტზე თამაში საგრძნობლად გაუმჯობესდა. სამხრეთამერიკელებმა დაცვითი ტაქტიკა ამჯობინეს და ამიტომ ვერ გაუმკლავდნენ ევროპელთა მრავალფეროვან, შემოქმედებითს თამაშს.

მსოფლიო ჩემპიონატის დახურვის საზეიმო ცერემონიალის დროს ვიდექი და... ცრემლები მახრჩობდა. სპორტს ჭეშმარიტად ჯადოქრული ძალა გააჩნია. იგი აერთიანებს ადამიანებს, მეგობრებად და ძმებად ხდის სრულიად განსხვავებული ეროვნებისა და სარწმუნოების წარმომადგენლებს. ამაზე ვფიქრობდი ცრემლები რომ წამომივიდა.

მე წავედი ფეხბურთიდან, მაგრამ თავს ვერ დავანებებ მას. კერძოდ, ყველაფერს, რაც კი შემიძლია, გავაკეთებ, რათა ხელი შევუწყო ბრაზილიის ნაკრების ხელახალ აღორძინებას.

• • •

სურათზე: ი. კრუიფი (მარჯვნივ) X მსოფლიო ჩემპიონატის მატჩში ურუგვაელებთან.

ფეხბურთი

# სტატისტიკა, სტატისტიკა...

თბილისის დინამოელებმა წლევანდელ ჩემპიონატში მხოლოდ 8-ჯერ გაიმარჯვეს. ასეთი მოკრძალებული მაჩვენებელი ჩვენს ფეხბურთელებს მხოლოდ 1937 (7 გამარჯვება) და 1955 (6) წლებში ჰქონდათ (მხედველობაში არ ვღებულობთ 1936 წლის შემოდგომისა და 1952 წლის სეზონებს, ვინაიდან მაშინ ჩემპიონატები ერთ წრედ ჩატარდა). მაგრამ იმ წარუმატებლობებს მაინც ჰქონდა გამართლება, რადგან მაშინდელი მატჩების რაოდენობა საკმაოდ მცირეა ახლანდელთან შედარებით. კერძოდ, 1937 წელს გუნდმა სულ 16 მატჩი ჩაატარა, ხოლო 1955 წელს — 22. ასე რომ, წლევანდელი მაჩვენებელი მოგებების მხრივ „დინამოს“ ისტორიაში ყველაზე დაბალია, რაც პროცენტებში ჩანს ნათლად. მოგებათა რაოდენობა შეადგენს ნათამაშევი მატჩების მხოლოდ 26,7 პროცენტს.

ამ მოგებებიდან თბილისელებმა ვერც ერთხელ ვერ მიაღწიეს გამარჯვებას დიდი ანგარიშით და ესეც პირველი შემთხვევაა გუნდის ისტორიაში. აქამდე დინამოელები მინიმუმ ერთ შეხვედრას მაინც იგებდნენ ხოლმე 3 და მეტი ბურთის სხვაობით.

თბილისის „დინამოს“ წლევანდელ ჩემპიონატში 14 ფრე აქვს. ფრეების ასეთი რაოდენობა გუნდს ადრე მხოლოდ ორჯერ ჰქონია — 1966 და 1969 წლებში, მაშინ როცა მატჩები ახლანდელთან შედარებით მეტი იყო.

გ. ი. წლეულს დინამოელებმა ფრეების მხრივ პირადი რეკორდი დაამყარეს — შეხვედრების 46,7 პროცენტი. ამას გარდა, 14-დან 8 მატჩი დამთავრდა უბურთოდ — 0:0. ამ მხრივ 16 გუნდს შორის ჩვენები I ადგილზე არიან. თბილისის „დინამოსგან“, ალბათ, ამას არავინ მოელოდა.

წაგება გუნდს 8 აქვს. ამ ციფრზე ბევრს ვერაფერს ვიტყვით, ვინაიდან ამაზე მეტი წაგებაც გვახსოვს, დინამოელები კი გაცილებით უკეთეს ადგილზე გადიოდნენ ხოლმე. რაღა შორს წავიდეთ, 3 წლის წინ ჩვენი გუნდი ზუსტად ამდენივეჯერ დამარცხდა, მაგრამ III საპრიზო ადგილზე გავიდა.

თბილისელებმა გაიტანეს 29 გოლი და ამაზე დაბალი შედეგი მხოლოდ 2-ჯერ იყო აღნიშნული — 1955 და 1957 წლებში (კვლავ არ ვღებულობთ მხედველობაში ერთწრიან ჩემპიონატებს, ვინაიდან მაშინ მატჩების რაოდენობა გაცილებით ნაკლები იყო). გამოდის, რომ თბილისელთა იერიშები ყველაზე „უკბილო“ იყო წლეულს და საკავშირო ჩემპიონატების ისტორიაში პირველად მოხდა, რომ გუნდს ერთ თამაშში საშუალოდ თითო გოლიც ვერ გაჰქონდა. ისიც პირველი შემთხვევაა, რომ დინამოელებმა შედეგიანობის მხრივ ბოლოსწინა ადგილი დაიკავეს.

გაშვებული გოლების მხრივ გარკვეული სტაბილურობაა: თბილისელები ბოლო 5 წლის მანძილზე თანაბრად უშვებენ გოლებს: 1970 წ. — 30 გოლი, 1971 — 33, 1972 — 34, 1973 — 33, 1974 — 34.

ბურთების უარყოფითი სხვაობა თბილისელებს სულ 5-ჯერ ჰქონდათ — 1954-1958 წლებში. ასე რომ, წლევანდელი მეექვსე შემთხვევა პირველის 20 წლისთავს დაემთხვა.

ზუსტად იმავე წლებში გუნდი უარყოფითი შედეგებით ამთავრებდა ჩემპიონატებს („უარყოფითის“ ქვეშ ვგულისხმობთ ისეთ მოვლენას, როცა გუნდი იმაზე ნაკლებ ქულას მოაგროვებს, რამდენიც მატჩი გამართა). დინამოელთა წლევანდელ გამოსვლასაც ამ კვალიფიკაციას ვაძლევთ. მართალია, გუნდს იმდენი ქულა აქვს, რამდენი შეხვედრაც ჩაატარა, მაგრამ ვხელმძღვანელობთ იმ ფაქტით, რომ გაშვებული ბურთები აღემატება გატანილს.

დაბოლოს, ერთი კურიოზის შესახებ. თუ დავინტერესდებით გუნდის ბოლო 8 წლის თამაშით, ძალზე უცნაურ სურათს მივიღებთ. კერძოდ, 1967-დან 1970 წლის ჩათვლით გუნდს ასე ახასიათებდნენ: კარგად იღებს სტარტს, დიდხანს ლიდერთა ჯგუფშია, მაგრამ ფინიშს სუსტად ატარებს და მნიშვნელოვნად თმობს პოზიციებს. 1971-დან 1974 წლის ჩათვლით პირიქით ხდება: თბილისელები ცუდად იღებენ სტარტს, ხშირად ათეულის მიღმა არიან, მაგრამ ფინიშის მატჩებს მონდომებით თამაშობენ და ასწორებენ მდგომარეობას.

გ. ბარაყანიძე.

# შევინსკა და ალი

### ევროპელ ჟურნალისტთა აზრით...

როგორც ამერიკული სააგენტოს — იუპი-ს ევროპული განყოფილება ბრიუსელიდან იუწყება, ამას წინათ ძველი სამყაროს ჟურნალისტებმა მსოფლიოს 1974 წლის საუკეთესო სპორტსმენებად დაასახელეს ირენა შევინსკა და მუჰამედ ალი.

პოპულარულმა პოლონელმა სპრინტერმა ირენა შევინსკამ პირველი ოქროს მედალი მიიღო 1964 წლის ტოკიოს ოლიმპიურ თამაშებში. სწორედ იმ წელს მუჰამედ ალი პირველად გახდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი კრივში პროფესიონალთა შორის.

1974 წელს ევროპის ორგზის ჩემპიონმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა 200 მეტრზე რბენაში ი. შევინსკამ მძლეოსნობის ისტორიაში პირველად გადალახა 50-წამიანი ზღვარი 400 მეტრზე რბენაში. ეს იყო შესანიშნავი მძლეოსნის მეშვიდე მსოფლიო რეკორდი.

შევინსკამ წლევანდელ ანკეტაში 215 ხმა მიიღო. II ადგილზე ამ რეფერენდუმში გავიდა მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონი ტანვარჯიშში ლიუდმილა ტურიშჩევა (სსრ კავშირი) — 158 ხმა, III ადგილი ერგო გდრ-ის მოცურავეს კორნელია ენდერს — 146.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ ათეულში მოხვდა კიდევ ორი საბჭოთა სპორტსმენი: მძლეოსანი ფაინა მელნიკი (VIII ადგილი, 55 ხმა) და მოთხილამურე გალინა კულაკოვა (X ადგილი, 30 ხმა).

ვაჟთა რეფერენდუმში გამარჯვებულმა მუჰამედ ალიმ მიიღო 173 ხმა. უძლიერესთა სამეულში შევიდნენ, აგრეთვე, ჰოლანდიელი ფეხბურთელი იოჰან კრუიფი (147 ხმა) და ბელგიელი ველოსიპედისტი ედი მერქსი (117 ხმა). საბჭოთა ძალოსანმა ვასილ ალექსეევმა 54 ხმით IX ადგილი დაიკავა.

# ლ. კელსი



56 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს დამსახურებული პედაგოგი, სპორტის ოსტატი მთამსვლელობაში, პარტიის წევრი 1942 წლიდან ლეონიდ პავლეს ძე კელსი.

იგი დაიბადა კუიბიშევში, რკინიგზელის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ კელსმა სწავლა გააგრძელა ალმა-ათის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე, რომელიც 1939 წელს დაამთავრა. სამამულო ომის დაწყებიდან კელსი საბჭოთა არმიაში გაიწვიეს, სადაც 1946 წლამდე იმსახურა. დემობილიზაციის შემდეგ იგი თბილისის სხვადასხვა სკოლაში ფიზიკის მასწავლებლად მუშაობდა.

კელსი პედაგოგის საპატიო შრომას კარგად უხამებდა მთამსვლელობით გატაცებას. საზაფხულო არდადეგების დროს იგი მასწავლებლად მუშაობდა ალპინისტურ ბანაკებში, მონაწილეობა მიუღია კავკასიონის მნიშვნელოვანი მწვერვალების დაპყრობაში, იყო ალპინიზმის უფროსი ინსტრუქტორი.

გულისხმიერი აღმზრდელის, სამაგალითო ამხანაგისა და შესანიშნავი მოქალაქის ხსოვნას გულთბილად შეინახავს ყველა, ვინც მას იცნობდა.

საქართველოს მთამსვლელთა ფედერაცია,
ალ. ჯაფარიძის სახელობის საქართველოს ალპიური კლუბი.

# კვლავ წააგეს

ამას წინათ თბილისის ლენინის სახელობის სტადიონზე ჩატარდა საქალაქთაშორისო შეხვედრა ბალახის ჰოკეიში თბილისისა და ბათუმის ნაკრებ გუნდებს შორის.

როგორც ცნობილია, ბათუმში ახლახან დამთავრებულ საქართველოს პირველობაში მასპინძლები პირველი ჩემპიონები გახდნენ. გუნდი მიწვეული იყო ერევანში, სადაც 13-14 დეკემბერს სომხეთის თასის გათამაშებაში მონაწილეობდა. იქიდან დაბრუნებულები გზად თბილისში გაჩერდნენ და პირველი საქალაქთაშორისო მატჩი გამართეს.

მატჩი ერთობ საინტერესო გამოდგა. თბილისელები პირველ წუთებზევე დაწინაურდნენ (ბურთი გაიტანა გუგავამ), შემდეგ ბათუმელებმა გაათანაბრეს ანგარიში (არტემიანი), წინაც გავიდნენ (ბარამიძე). ტაიმის მიწურულს თბილისელმა სხირტლაძემ ანგარიში საყაიმო გახადა — 2:2.

შესვენების შემდეგ ბათუმელებმა ისარგებლეს თბილისელთა მცველების შეცდომით და დაწინაურდნენ (სიმონიანი). ეს იყო მატჩის უკანასკნელი გოლი. დარჩენილ დროში მასპინძლები განუწყვეტლივ უტევდნენ, მაგრამ ბურთი არა და არ გავიდა სტუმართა კარში. თბილისელები კვლავ დამარცხდნენ — 2:3.

საჭიროა აღვნიშნოთ, რომ მოთამაშეები არ არიან უზრუნველყოფილი საკმარისი რაოდენობის ჰოკეჯოხებით, ხოლო ბათუმელთა მეკარეს არ ჰქონდა სპეციალური ტანსაცმელი.

ი. ტერუნაშვილი,
შეჯიბრების არბიტრი.

• • •



სურათზე: შეხვედრის მომენტი.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 02908